

## თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის ენობრივ-სტილისტიკური ანალიზი

(ი. ილფისა და ე. პეტროვის რომან „თორმეტი სკამის“  
ქართული თარგმანის მასალის მიხედვით)

ცნობილია, რომ თარგმნა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ხალხთა ურთიერთობისა, ხოლო ლიტერატურული თარგმანი დიდ როლს თამაშობს ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში.

თარგმნის ხელოვნებას, მის მეთოდებს დიდი ყურადღება ექცეოდა მეცნიერებაში. მათ შესახებ არაერთი მონოგრაფია, სტატია თუ წერილი არსებობს, რომელთა ავტორები მასალის სრულყოფილი ანალიზის შედეგად საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ და მრავალ საინტერესო და ანგარიშგასაწევ დასკვნებს გვთავაზობენ. ამდენად, თარგმნის და, კერძოდ, მხატვრული თარგმნის მრავალი საკითხის შესწავლის დროს ეს გამოკვლევები მეტად ფასეულია.

წარმოდგენილი შრომის პირველი ნაწილი ეყრდნობა სწორედ ამ გამოკვლევებს; აქ შეძლებისდაგვარად განხილულია სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები აღნიშნულ საკითხზე.

თარგმნის მეთოდის შესახებ მეცნიერებაში არსებობს ორი განსხვავებული აზრი; ერთი — ლიტერატურათმცოდნეობითი და მეორე — ლინგვისტური. პირველის მიმდევარნი მას იზილავენ როგორც ლიტერატურულ პროცესს. მათი აზრით, ეს არის ლიტერატურული შემოქმედება და ამიტომ მას უნდა სწავლობდეს ლიტერატურათმცოდნეობა, ხოლო ლინგვისტურ შესწავლას ანიჭებენ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას და ამტკიცებენ, რომ

ლინგვისტური მიდგომა თარგმანისადმი პრაქტიკულად ამყარებს ორიგინალსა და თარგმანს შორის მკაცრ შესატყვისობას.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე თარგმანის კვლევაში სწორედ ლიტერატურათმცოდნეობით ორიენტაციას ეძლეოდა უპირატესობა, ხოლო ლინგვისტური კვლევის მეთოდებს მკვლევრები მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდნენ, რომელსაც მხოლოდ თარგმნის პროცესის მექანიზმის აღწერა და თარგმანის ენის თავისებურებების კვლევა შეეძლო.

დ. ფანჯიკიძე წერს: „ჩვენ მხატვრული თარგმანის კვლევაში აუცილებლად მიგვაჩნია ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის მეთოდების სინთეზი, სადაც თარგმანის ენობრივ საფუძველს, თარგმანის ენის სპეციფიკას, ორი ენის შეპირისპირებით კვლევას ვატარებთ ლინგვისტიკის პოზიციიდან, ე. წ. ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს კი, ძირითადად, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით ვუდგებით“<sup>1</sup>.

მკვლევარ ა. ლილოვას აზრით, „მხატვრულ თარგმანში ყველაზე ძნელი და ყველაზე მნიშვნელოვანია არა ლინგვისტური, არამედ მხატვრული მხარე, მთარგმნელის უნარი გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული სამყარო... მაგრამ, ამასთან, ენა არა მარტო საშუალებაა აბსტრაქტული აზროვნების განხორციელებისა და არსებობისა, არამედ მისი მეშვეობით გადმოიცემა აზროვნების მხატვრული მხარეც. ამიტომ მხატვრული თარგმანის სპეციფიკა ენის მეშვეობით გამოიხატება“<sup>2</sup>. საბოლოოდ ა. ლილოვას მიხედვით თარგმანის თეორია არც ლინგვისტურია და არც ლიტმცოდნეობითი, იგი დამოუკიდებელი დისციპლინაა. ამ აზრს იზიარებს დ. ფანჯიკიძეც.

„სამეცნიერო ლიტერატურაში, — წერს გ. წიბახაშვილი, — თარგმანს სხვადასხვა განსაზღვრება ახლავს: ზუსტი, ადეკვატური, ტოლფასოვანი, რეალისტური, ეკვივალენტური და სხვა, მაგრამ, თუ თარგმანს მივიჩნევთ ენის სამყაროში მოქმედებად, ანუ თარგმანს ჩავთვლით ლინგვისტურ დისციპლინად, ცნებები „ზუსტი“, „ტოლფასოვანი“, „ადეკვატური“ უნდა განვიხილოთ ტექსტის ენობრივი კომპონენტის საფუძველზე, ხოლო თუ უპირატე-

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბ., 1995, გვ. 49.

<sup>2</sup> А. Л и л о в а: Введение в общую теорию перевода, М., 1985, гв. 27, 40.

სობა მიეცემა ნაწარმოების სახეობრივ-ემოციურ მხარეს, მაშინ შეფასების საფუძველიც წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისა იქნება“, — და განაგრძობს: „თარგმანის ისტორია რომ დამოუკიდებელი ფილოლოგიური დისციპლინაა, ამასი ექვი აღარავის ეპარება, მაგრამ ექვგარეშეა ისიც, რომ ამ დისციპლინის არსებობა წარმოუდგენელია ენათმეცნიერებასთან და ლიტერატურათმცოდნეობასთან მჭიდრო კავშირის გარეშე, რადგანაც თარგმანის საკითხებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტილისტიკას, რომელიც ასევე დამოუკიდებელი დისციპლინაა, მაგრამ ფესვები ენათმეცნიერებაში და ლიტერატურათმცოდნეობაში აქვს გადგმული“<sup>1</sup>.

გ. გაჩეჩილაძეს მიაჩნია, რომ მხატვრულ თარგმანში მთავარია ორიგინალის ესთეტიკური ფასეულობების გადმოცემა, ხოლო ენობრივი შესატყვისობები ემსახურება მხატვრულ შესატყვისობებს. ამგვარად, გ. გაჩეჩილაძე ლინგვისტურ მიდგომას განიხილავს როგორც მოსამზადებელ, მაგრამ აუცილებელ ეტაპს თარგმნის თეორიის შექმნაში და თვლის, რომ თარგმნის ლინგვისტური თეორიის როლი ანალოგიურია ენათმეცნიერების როლისა ორიგინალური ლიტერატურის შემოქმედების პროცესში. გ. გაჩეჩილაძის აზრით, რადგან მწერალს საქმე აქვს რეალურ და მხატვრულ სინამდვილესთან, მისთვის მთავარია სწორედ სინამდვილის ათვისება, ხოლო ენას აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.<sup>2</sup>

გ. გაჩეჩილაძის აზრს ყველა არ იზიარებს; მაგალითად, ვ. ვინოგრადოვი არ ეთანხმება მას და მიაჩნია, რომ, მართალია, ორიგინალურ შემოქმედებაში ენობრივი პროცესი არ თამაშობს ძირითად როლს, თუმცა მისი მნიშვნელობა დიდია, ხოლო, რაც შეეხება მხატვრულ თარგმანს, მისი არსი სწორედ ენობრივ პროცესშია თავიდან ბოლომდე. ორიგინალი სწორედ ენის საშუალებით აღიქმება და ენით იქმნება.<sup>3</sup>

მხატვრული თარგმნის არსი თავიდან ბოლომდე მის ენობრივ პროცესშია. ენით ხდება ორიგინალის ათვისება და შექმნა.

<sup>1</sup> გ. შ ი ბ ა ხ ა შ ვ ი ლ ი: თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2000, გვ. 17, 60.

<sup>2</sup> გ. გაჩეჩილაძე: მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1959, გვ. 27.

<sup>3</sup> В. С. Виноградов: Лексические вопросы перевода художественной прозы, М., 1978, гв. 8.

მთარგმნელი არ ამუშავებს ნაწარმოების არც თემებს, არც იდეას, არც სიუჟეტს, არც კომპოზიციას, მაგრამ, როგორც მწერალი, ეძებს ენობრივ საშუალებებს, შეარჩევს საჭირო სიტყვებსა და ფრაზებს, რათა რაც შეიძლება ზუსტად და ეკონომიურად გადმოსცეს აზრი. ლიტერატურაში ნებისმიერი აზრი და ნებისმიერი მხატვრული სახე გადმოიცემა სიტყვებით, ამიტომ სიტყვამ, როგორც ენობრივმა ერთეულმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი მხატვრული თარგმნის თეორიაში.

ყოველივე ამასთან ერთად, მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თარგმნის თეორია დაკავშირებულია რამდენადმე არა მარტო სტილისტიკასთან, შედარებით ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან, არამედ აგრეთვე ფსიქოლოგიასთან, სოციოლინგვისტიკასთან და ა. შ. ამდენად, თარგმნის თეორია საერთოფილოლოგიური, კომპლექსური მეცნიერებაა.

თარგმანი — ეს თავისებური, განსაკუთრებული და დამოუკიდებელი სახეა სიტყვიერი ხელოვნებისა, მაგრამ ეს ხელოვნება, — როგორც ვ. ვინოგრადოვი განსაზღვრავს, — „მეორეულია“. მთარგმნელის შემოქმედებითი თავისუფლება შეზღუდულია ორიგინალით. „სრული იგივეობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, — წერს იგი, — არ შეიძლება არსებობდეს. ორიგინალი — ეს ერთადერთი და განუყოფელი მატერიალური შედეგია მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებისა და, ამავე დროს, ეროვნული სიტყვიერი ხელოვნების ნაწილი. თარგმანი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ადეკვატური. იგი შეიძლება უსასრულოდ უახლოვდებოდეს დედანს, მაგრამ არასოდეს არ შეერწყმის მას, რადგან თარგმანს ჰყავს თავისი შემოქმედი, აქვს თავისი ენობრივი მასალა და თავისი ცხოვრება ენობრივ, ლიტერატურულ და სოციალურ სფეროში, რომელიც განსხვავდება ორიგინალის სფეროსგან“<sup>1</sup>.

გ. გაჩეილაძე თანაბარ დონეზე აყენებს ორიგინალსა და თარგმანს. მას მიაჩნია, რომ თარგმნითი ხელოვნება ეს არის ორიგინალის მხატვრული სინამდვილის ანარეკლი, რომელიც ასევე „ცოცხალი სინამდვილეა“. ამ აზრს ბევრი მკვლევარი არ ეთანხმება.

მხატვრული თარგმანი ლიტერატურული შემოქმედების თა-

<sup>1</sup> В. С. Виноградов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7-16.

ვისებური ნაირსახეობაა. მხატვრული ლიტერატურის თარგმნის დროს არ შეიძლება მთარგმნელი შემოიფარგლოს მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემით, როგორც ეს ხდება, ვთქვათ, სამეცნიერო ან ტექნიკური ლიტერატურის თარგმნის დროს. მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას საჭიროა სხვა ენაში მოიძებნოს გამონათვის ისეთი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასში არა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემას, არამედ სრულ შესატყვისობას ახალი ტექსტისა პირველწყაროსთან აზრობრივადაც და ფორმობრივადაც.

ცნობილია, რომ თარგმნის ისტორიაში იბრძვის ორი მიდგომა: თარგმნა საკუთარი ენისა და გემოვნების სასარგებლოდ ორიგინალზე ძალდატანებით, ან, პირიქით, ძალდატანება საკუთარ ენასა და გემოვნებაზე ორიგინალის სასარგებლოდ. „პირველ შემთხვევაში სტილისტიკური პერსპექტივა შეუძლებელია, მხოლოდ მეორე შემთხვევაშია ეს შესაძლებელი“<sup>1</sup>.

თარგმნის მიზანია ორიგინალის შინაარსის, ფუნქციისა და მხატვრული ფასეულობის შენარჩუნება. მხატვრული თარგმანი რთული ესთეტიკური და წინააღმდეგობრივი ფსიქოლოგიური ფენომენია. თარგმნისას უბრალოდ ორიგინალის ასლის გადმოღება კი არ ხდება, არამედ ამ პროცესის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს ამ ენათა სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, სხვადასხვა კულტურა. ამავ დროს თარგმანი უაღრესად ინდივიდუალური და სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული.

დ. ფანჯიკიძე წერს: „თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა. ამასთან, იგი გვევლინება როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი და ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის სხვადასხვა ენის ბაზაზე გამომჟღავნების შედეგი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული.“<sup>2</sup> აქვე იგი იმასაც კი აღნიშნავს, რომ ყოველივე ამის გამო მრავალჯერ გამოთქმულა აზრი თარგმნის შეუძლებლობის შესახებ.

<sup>1</sup> М. Л. Г а с п а р о в: Стилистическая перспектива в переводах художественной литературы: сб. Взаимообогащение нац. сов. лит. и худ. перевод., Фрунзе, 1987, зб. 9.

<sup>2</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1988, зб. 9.

გ. წიბახაშვილის აზრით, იდეალური თარგმანი უნდა იყოს ორიგინალის სრულფასოვანი ასლი, ოღონდ სხვაენოვანი, ნებისმიერი სხვა ვარიანტი დედნისაგან გადახვევაა. „იდეალურად უნდა ჩაითვალოს თარგმანი, რომელიც დედნისაგან მხოლოდ ენობრივი მასალით განსხვავდება, დანარჩენი ყველა ნიშანი კი უცვლელად არის გადმოღებული დედნიდან“.<sup>1</sup>

ავტორი აქვე შენიშნავს: „თარგმანი ამდიდრებს არა მარტო კულტურას, არამედ თვით ენასაც — ახალი სიტყვებით, სტილისტური ხერხებით, ფრაზეოლოგიით, გამომხატველობითი საშუალებებით... თარგმნილი ლიტერატურა თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით სერიოზულად მოქმედებს ენის ლიტერატურული ნორმების დანერგვაზე, სიტყვის, აზრის, ემოციის, ელერადობის გაგების უნარზე. თარგმანში დაშვებული აშკარა შეცდომები ან ძნელად შესამჩნევი უზუსტობები შეუმჩნეველად იკიდებს ფეხს და ვრცელდება ენის ყველა სტილში“.<sup>2</sup>

თარგმანის შეფასება დამოკიდებულია საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებაზე, რაც, თავის მხრივ, იმავე საზოგადოების ესთეტიკური დონით არის შეპირობებული. ამასთან, ეს შეფასება ცვალებადია, რადგან თარგმანი ისტორიული კატეგორიაა და ეს ცვალებადობა მკაცრ კანონზომიერებათა ციკლს ემორჩილება.

გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ თარგმანის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისიც, თუ ვისთვის, რა კატეგორიის მკითხველისათვის არის იგი განკუთვნილი, რადგან ხშირად სწორედ ეს განსაზღვრავს მის ენას, სტილსა და ლექსიკას.

ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ საჭიროა თარგმანის დედანთან მაქსიმალური სიახლოვე და შესაბამისობა, რომ თარგმანი უნდა იყოს ზუსტი და სრული და, ამასთან, მკითხველზე ახდენდეს ისეთსავე ზემოქმედებას, როგორსაც დედანი. გ. გაჩეჩილაძე წერს: „თარგმანის ადეკვატურობის განსაზღვრა არის მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი ამოცანა“.<sup>3</sup>

მაგრამ ყოველთვის არ არის ასე. ყველა თარგმანი ვერ უპასუხებს სათანადო მოთხოვნებს; თარგმანისას გვხვდება ჩავარდნები, უზუსტობანი და შეცდომებიც. ზოგჯერ ამის წყაროა

<sup>1</sup> გ. წი ბ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>3</sup> გ. გა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე: დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

ენებში ეკვივალენტობის არარსებობა, ზოგჯერ მთარგმნელის უპასუხისმგებლობა და მისთ. შეცდომები ეხება სიტყვის ხმარებასაც, წინადადების აგებასაც და მხატვრული სახის შექმნასაც. ასეთი სახის უზუსტობანი შეიძლება დედანშიც იყოს, „მაგრამ დედნისეული უზუსტობანი, ჩვეულებრივ, ნაკლებად შესამჩნევია, რადგანაც ისინი მეტწილად ავტორის ენის თავისებურებად კვალიფიცირდება, მთარგმნელის მიერ დაშვებული ხარვეზები კი დედნის ფონზე თვალში საცემად ჩანს და არავითარი გამართლება არა აქვს“.<sup>1</sup>

„ენათა და გამომხატველ საშუალებათა განსხვავება, — წერს გ. წიბახაშვილი, — ძალაუნებურად განაპირობებენ თარგმნის მეტ-ნაკლებ დაცილებას დედნისაგან. რაც ნაკლებია დაცილება, მით უკეთესია თარგმანი და მით ნაკლებად ჩანს მასში მთარგმნელის პიროვნება. რაც მეტად სცილდება თარგმანი დედანს, მით უფრო თვალშისაცემია მთარგმნელის „შუამავლობა“ და, მაშასადამე, მით უფრო აგებს თარგმანი... მთარგმნელის მიერ ტექსტში შეტანილი სიახლენი მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება მაღალი დონისაც იყოს, მაგრამ ახალი სახე ან აზრი, თუ ის დედნისეული არ არის, მთარგმნელს წარმატებად კი არა, ნაკლად უნდა ჩაეთვალოს, რადგან ეს სახე ან აზრი მისია და არა ნაწარმოების ავტორისა“.<sup>2</sup>

არსებობს განმარტება, რომ „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე“, მაგრამ აქვე უნდა იყოს გააზრებული ისიც „თუ როგორ დამოკიდებულებაშია მასთან სუბიექტი, ანუ ავტორი, რას განიცდის იგი, როცა მასზე ფიქრობს. მთარგმნელს კი ცოცხალ სინამდვილესთან არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება. იგი კი არ ასახავს, არამედ გადმოსცემს დედანში არსებულ სინამდვილეს. იგი სინამდვილეს სხვისი თვალით უცქერის“.<sup>3</sup>

მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში ავითარებენ აზრს, რომ თარგმანი წარმოადგენს ენათმეცნიერების ობიექტის განუყოფელ

<sup>1</sup> გ. წიბახაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ. 49.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 62-63.

<sup>3</sup> დ. ფანჯიკიძე: თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბ., 1995, გვ. 59.

ნაწილს. თარგმანი უნდა განიხილებოდეს, როგორც ენების ფუნქციონირების განსაკუთრებული სახეობა, მათი სამეტყველო რეალიზების სპეციფიკური ხერხი, რომლის შესწავლის გარეშე ჩვენი ცოდნა ენის ფუნქციებზე და მის არსზე სრულყოფილი ვერ იქნებოდა.<sup>1</sup>

მაგრამ ე. ეტკინდი თვლის, რომ წმინდა ლინგვისტური მიდგომა უძლურია მხატვრული ნაწარმოების თარგმნის ანალიზისას, რადგანაც მხატვრული თარგმანი არ შეიძლება დავიყვანოთ ერთი ენობრივი ფორმის მეორით შეცვლის დონემდე.<sup>2</sup>

დ. ფანჯიკიძე ვარაუდობს, რომ „თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. მართალია, ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი — სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა, სიტყვების განსხვავებული კომბინატორული ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასემიოტიკური საფუძველი — თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმნელს დედნის ენის ცოდნის, ანუ „ენობრივი კომპეტენციის“ გარდა, ეხმარება რეალური სიტუაციის, იმ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გაგების უნარი, რომელსაც ესა თუ ის ტექსტი ეყრდნობა“.<sup>3</sup>

ენას მხატვრულ ნაწარმოებში, საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად, ეკისრება ესთეტიკური ფუნქციაც, რადგან იგი, აზრის გამოხატვის გარდა, მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება. ო. კუნდზიჩი წერს: „მშვენიერება აისახება ენობრივი საშუალებებით ამ სიტყვის პირდაპირი ლინგვისტური მნიშვნელობით“.<sup>4</sup>

მხატვრული ნაწარმოების ენა სალიტერატურო ენას ემყარება, თუმცა მასში ფართოდაა გამოყენებული ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილთა ელემენტები. თარგმნისას მეტად მნიშვნელო-

<sup>1</sup> В. Н. Комиссаров: Лингвистика перевода, М., 1980, гл. 4-5.

<sup>2</sup> Е. Г. Эткинд: Художественный перевод: Искусство и наука, ВЯ, 1970, №4.

<sup>3</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. 58.

<sup>4</sup> О. Кундзич: Слово и образ, М., 1973, гл. 171-172.



ვანია თარგმანის ენის, როგორც სტილისტიკური ფენომენის დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენასთან.

მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება გამოყენებული იყოს დიალექტური ფორმებიცა და ქარგონებიც, რომლებიც სალიტერატურო ენისთვის არ არიან დამახასიათებელი, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში ისინი მაინც ასრულებენ საკომუნიკაციო თუ ესთეტიკურ ფუნქციას, „რაც შეეხება მხატვრული თარგმანის ენას, ისიც გვეძლევა როგორც თვისობრივად განუმეორებელი კატეგორია, — წერს დ. ფანჯიკიძე, — მაგრამ იგი მაინც განსხვავდება ორიგინალის ენისაგან სალიტერატურო ენის სტილებსა და სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე სტილისტურ შრეებთან თავისი დამოკიდებულებით. კერძოდ, მხატვრული თარგმანის ენა ორიგინალური ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია. თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება“<sup>1</sup>.

ზოგი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი ისეთივე შემოქმედი ნაწარმოებისა, როგორიც ავტორი. სინამდვილეში მთარგმნელის დანიშნულებაა არა თავის საკუთარ წარმატებაზე იფიქროს, არამედ წარმოაჩინოს ორიგინალის სიკეთე.

მთარგმნელი თარგმანის პროცესში კი არ ქმნის მხატვრულ სინამდვილეს, არამედ ქმნის მწერლის მიერ უკვე შექმნილს. აუცილებელია, რომ მთარგმნელი მთელი სისრულით გრძნობდეს ორიგინალს და ამავე დროს შეეძლოს მისი შეფასებაც. საჭიროა, რომ მან იცოდეს მასალა, რომელიც გამოყენებული აქვს ავტორს თავისი ნაწარმოებისათვის. საჭიროა, რომ იგი სრულად ფლობდეს ყველა მხატვრულ ნიუანსს, მშობლიური ენის მთელ სიმდიდრეს და შეეძლოს კარგი ლიტერატურული გემოვნებით გამოიყენოს იგი ორიგინალის გადმოსატანად თავის ენაზე, დასასრულს, საჭიროა, რომ მთარგმნელს უყვარდეს ლიტერატურა.

თუ მთარგმნელი ფლობს ყველა ამ თვისებას, მის მიერ შესრულებული თარგმანი ისეთივე მაღალი ესთეტიკური ღირებულებისა იქნება, როგორიც ორიგინალი და, პირიქით, თუ იგი ამ თვისებებს არ ფლობს, მისი თარგმანიც არ ივარგებს.

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. 61-62.

მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის საშუალებით მთლიანობაში და ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და ამავე დროს შეინარჩუნოს მისი სტილისტიკური და ექსპრესიული თავისებურებანი. ი. რეცკერი წერს: „მთარგმანის მთლიანობაში მოიაზრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობა სხვა ენობრივ საფუძველზე“<sup>1</sup>. მას მიაჩნია, რომ მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია არა ცალკეული გრამატიკული ფორმების ან სინტაქსური კონსტრუქციების შეპირისპირება, არამედ იმ „სტრუქტურულ-სემანტიკური კვანძების შეპირისპირება, რომლებიც ერთიანი ცნებით მთელს ქმნიან“<sup>2</sup>. იგი აგრეთვე თვლის, რომ სათარგმნი ერთეული „შეიძლება იყოს სიტყვა, სიტყვათშეხამება, სინტაგმა, მთელი წინადადება, აბზაცი და მთელი სათარგმნი ტექსტი“<sup>3</sup>.

„მთარგმნელის პროფესიონალიზმში ბევრი რამ იგულისხმება: უცხო და მშობლიური ენების საფუძვლიანი ცოდნა, გარდასახვის ნიჭი, ზოგადი განათლება, ლიტერატურული გემოვნება, მკითხველის ინტერესის ამოცნობის ალღო, თავისი საქმისა და მკითხველის სიყვარული, ცოდნის სხვისათვის გაზიარებისა და ამ გზით მისი ინტერესის დაკმაყოფილების, ან ინტელექტუალური დონის ამაღლების სურვილი და, ბოლოს, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების კრიტიკული შეფასების უნარიც“, — წერს დ. ფანჯიკიძე და განაგრძობს: „მთარგმნელის წინაშე ყოველთვის დგას კითხვა: ემთხვევა თუ არა მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებები მხატვრული ფუნქციითა და ღირებულებით მწერლის მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს? მწერალი ხშირად ქვეშეცნულად ქმნის მხატვრულ საშუალებათა სისტემას, მთარგმნელი კი ვალდებულია თარგმნისას ერთდროულად ამ სისტემის ანალიზიც მოახდინოს და სინთეზიც. მთარგმნელი განუწყვეტლივ იბრძვის ორი ენის შესაყარზე. არც ერთ ენას არ უშვებს მხედველობის არიდან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, მაგრამ, ცხადია, თარგმნა არ არის ენობრივი შესატყვისების პრიმიტიული ძიების პროცესი. ამგვარად, მთარგმნელის გონებაში უპირატესად შეგნებულად მიმდინარეობს ორიგინალის

<sup>1</sup> И. И. Р е ц к е р: Теория перевода и переводческая практика: Очерки лингвистической теории перевода, М., 1974, 83. 7.

<sup>2</sup> იქვე, 83. 9.

<sup>3</sup> იქვე, 83. 25.

ფორმის შესატყვისი გამომსახველობითი საშუალებების ძიება. ამასთან, თარგმანში სიტყვის სწორად შერჩევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება კონტექსტს“<sup>1</sup>.

მაშასადამე, მთარგმნელმა სწორედ კონტექსტის აზრს, შინაარსს უნდა გაუწიოს ანგარიში, რადგან სიტყვის ან გამოთქმის მნიშვნელობა კონკრეტდება ტექსტში, სხვა სიტყვათა გარემოცვაში. ამასთან, მთარგმნელი უნდა კარგად იცნობდეს მშობლიური ლიტერატურის ტრადიციებს, ჰქონდეს მშობლიურ ენასთან შემოქმედებითი დამოკიდებულება და მარჯვედ იყენებდეს ენაში არსებულ მყარ გამონათქვამებს, ფრაზეოლოგიზმებსა და სხვა ღირებულ ლექსიკურ საშუალებებს. „მთარგმნელმა უნდა შეძლოს ზოგჯერ სრულიად მივიწყებული, ან მისი ცნობიერების მიღმა არსებული ენობრივი პლასტებისა თუ ცალკეული ლექსიკური ერთეულების გამოძებნა და უცხო ნაწარმოების შინაარსისა და სტილის გადმოსაცემად მათი ორგანიზება“<sup>2</sup>.

თარგმანში წარმოჩენილია როგორც ავტორის, ისე მთარგმნელის სულიერი და ინტელექტუალური სამყარო და, ამასთან, მთარგმნელი ვალდებულია ნაწარმოების ყველა კომპონენტი მაქსიმალური სისრულით ასაზოს თარგმანში.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ, ავტორისაგან განსხვავებით, მთარგმნელი ორიგინალში აღწერილ სინამდვილეს უყურებს სხვა სოციალური ფენისა და ენის პოზიციიდან, ხოლო ხშირად სხვა ეპოქის პოზიციიდანაც.

მთარგმნელს, მართალია, ასარჩევად აქვს მრავალი ელემენტი, მაგრამ ყველა ისინი ენის ელემენტებია. მთარგმნელი ეძიებს ენის ახალ ფორმებს უკვე ცნობილი აზრობრივი, ესთეტიკური და მხატვრული ინფორმაციის გადმოსაცემად.

„ცალკეული სიტყვების ან გამოთქმების სტილისტიკური დახასიათების ცოდნა, რაც მიაკუთვნებს მას ამა თუ იმ ფუნქციურ სტილს, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამის შემდეგ საჭირო ხდება თარგმანში დაიძებნოს ისეთი სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც შეესაბამება დედნის სიტყვასა თუ გამოთქმას არა მარტო აზრობრივად, არამედ სტილითაც, რაც, სხვათა შორის, ზოგჯერ

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. 63-65.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106.

შეუძლებელიც კია“, — წერს დ. ფანჯიციძე.<sup>1</sup>

გ. გაჩეჩილაძის აზრით, ორიგინალური ნაწარმოების ავტორი ერთი ენის ოსტატია, ხოლო მთარგმნელი — ორი ენისა, იმ პირობით, რომ ის დედნის კარგი მცოდნეა და ამავე დროს უზადოდ ფლობს მშობლიურ ენას. მისთვის ენობრივი შესატყვისობების პრობლემა პრაქტიკულად არ არსებობს. ვ. ვინოგრადოვი კი ამ აზრს არ ეთანხმება. რატომ? კითხვას სვამს იგი. „განა ოსტატობას აფასებენ ცოდნით და არა შრომის შედეგით? როგორც მწერალი, ისე მთარგმნელი ოსტატები არიან იმ ენისა, რომელ ენაზედაც გამოდის მათი ნაწარმოებები, იმ ლიტერატურისა, რომელსაც ისინი ამდიდრებენ თავიანთი შემოქმედებით. უბრალოდ, მთარგმნელის პროფესია საჭიროებს იმ ენის ღრმა ცოდნას, რომლიდანაც ის თარგმნის“, — და იქვე განაგრძობს — „თარგმანში აუცილებლად გაჩნდება განსხვავებები ორიგინალისაგან, რომლებიც გამოწვეული იქნება დედნის თავისებური აღქმით მთარგმნელის მიერ, ენათა განსხვავებული სისტემით, სოციოკულტურული სფეროს სხვაობით. თავს იჩენს მთარგმნელის ინდივიდუალურობა, რომელსაც განსაზღვრავს მისი მხატვრული აღქმა, პიროვნული თვისებები და თარგმნის პროცესში ენობრივ საშუალებათა შერჩევის თავისებურება. მთარგმნელის ამ ინდივიდუალურობით განპირობებულ სტილურ თვისებებს არავითარი საერთო არა აქვთ ავტორის სტილთან, არ წარმოადგენენ ორიგინალის კომპონენტებს. ისინი ეკუთვნიან თარგმანის სტილს, როგორც შემოქმედების დამოუკიდებელ სახეს“.<sup>2</sup>

საერთოდ, თარგმნის თეორიაში დღემდე სადავოა ერთი საკითხი: უნდა შქონდეს თუ არა მთარგმნელს თავისი საკუთარი სტილი?

აქ განსხვავებული აზრებია; მაგალითად, თამაზ ჩხენკელი წერს: „საკუთარი სტილი, ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, საკუთარი ენობრივი სტილი, მთარგმნელმაც ისევე უნდა შეიმუშაოს, როგორც ყოველმა შემოქმედმა“.<sup>3</sup> დ. ფანჯიციძე კი ვარაუდობს, რომ „დედნის სტილის ერთგულება თავისთავად გამოირიცხავს მთარგმნელის ინდივიდუალური ენობ-

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი ც ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. 35.

<sup>2</sup> В. С. Виноградов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 9-10.

<sup>3</sup> თ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი: პოეზია — სიბრძნის დარგი, თბ., 1978, გვ. 17.

რევი სტილის არსებობას... ინდივიდუალური სტილი მწერლის საკუთრებაა, მთარგმნელს კი მხოლოდ იმის უფლება აქვს, გამოამჟღავნოს ამ სტილის ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტით რეპროდუქციის ინდივიდუალური უნარი“.<sup>1</sup>

თარგმანზე პრაქტიკული მუშაობის დროს საჭირო გახდა უცხო და მშობლიური ენის შესწავლა შეპირისპირებით პლანში, ანუ შეპირისპირებითი სტილისტიკის განვითარება, რომელიც ლინგვისტიკის დონეზე სწორედ რომელიმე ორი ენის შეპირისპირებას ისახავს მიზნად. „შეპირისპირებითი სტილისტიკის მიზანია შეძლებისდაგვარად სრულად გამოარჩიოს ორი ენის გრამატიკული სისტემიდან სპეციფიკური მომენტები და სტილისტიკის პოზიციიდან ახსნას მათი არსი... ამასთან, შეპირისპირებითი სტილისტიკის არსებობა არავითარ შემთხვევაში არ ხელყოფს თარგმანის შემოქმედობითობის იდეას...“

თარგმნისას ყოველი ორი ენის ერთმანეთთან შეხვედრისას წარმოქმნილი სიძნელებები თავისებურია; მთარგმნელი, ერთი მხრივ, ზოგჯერ იძულებულია უცხო ფორმები გადმოიტანოს მშობლიურ ენაში და, მეორე მხრივ, ხელს იღებს დედაენის ზოგიერთ ისეთ ფორმაზე, რომელსაც არ შეიძლება ეკვივალენტი ჰქონდეს უცხო ენაში და მნიშვნელოვანი კი იყოს მშობლიური ენის ზოგადსტილისტიკური სახისათვის. განსხვავებული ფორმების გარდა, ორ შეპირისპირებულ ენაში შეიძლება არსებობდეს იდენტური ფორმებიც, მაგრამ ისე, რომ იდენტურობა არ გასცდეს გრამატიკის ფარგლებს, ე. ი. ფორმები შეიძლება იდენტურნი იყვნენ გრამატიკის დონეზე, მაგრამ არაიდენტურნი აღმოჩნდნენ სტილისტიკის დონეზე“.<sup>2</sup>

ამდენად, შეუძლებელია გადათარგმნა უბრალოდ ენიდან ენაზე. ყველა თარგმანი — ესაა აგრეთვე თარგმანი სტილიდან სტილზე.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ი. ილფისა და ე. პეტროვის შესანიშნავი რომანი

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ გ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. 105.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 71-73.

„თორმეტი სკამი“<sup>1</sup> და მისი ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის რამაზ კობიძეს.<sup>2</sup>

ამ რომანის ქართული თარგმანის შესახებ გ. წიბახაშვილი თავის გამოკვლევაში ერთგან წერს: „ჩვენ ძალიან გვჭირდება ი. ილფისა და ე. პეტროვის უბერებელი რომანების — „Двенадцать стульев“ და „Золотой теленок“ — კონვენიალური თარგმანები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არა გვაქვს — ამ წიგნებს ჯერ ვერ მოეძებნათ თავისი ივანე მაჩაბელი“.<sup>3</sup>

„თორმეტი სკამის“ ჩვენ მიერ ორიგინალთან შედარებული ქართული თარგმანი შეიძლება არც იყოს „კონვენიალური“ და მთლად სრულყოფილი. ალბათ ადვილი არ არის ი. ილფისა და ე. პეტროვის რომანების სხვა ენაზე გადატანა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთარგმნელი ცდილა და ბევრ შემთხვევაში კიდევ მოუხერხებია ნაწარმოების ძირითადი არსის, ავტორთა ჩანაფიქრისა და მათებული გამომსახველობითი მხატვრული ხერხების შეძლებისდაგვარად მიტანა ქართველ მკითხველამდე.

თარგმნისას ენის ლექსიკური სიმდიდრის სრულყოფილი ცოდნაა საჭირო. ასევე აუცილებელია ყოველი ლექსიკური ერთეულის სწორი გააზრება, რადგან მისი მცდარი შეფასება იწვევს მის არასწორ გამოყენებას, რაც საბოლოოდ თარგმანის ხარისხზე მოქმედებს. ამასთან, მუდამ და მაინც არსებობს ენათაშორისი შესატყვისობების მთარგმნელობითი პრობლემა. რაც შეეხება ლექსიკურ შესატყვისობებს, ზოგის აზრით, წინასწარ დადგენილი შესატყვისობები ბოჭავს მთარგმნელს, მაგრამ სინამდვილეში, თარგმნის თეორიის მიხედვით, მთარგმნელი არასოდეს არ არის შეზღუდული და იგი არ იძლევა მზა რეცეპტებს თარგმნისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლიტერატურის მთარგმნელს გადმოაქვს არა სიტყვები, არამედ იგი ქმნის აზრებსა და სახეებს, გამოხატულს სიტყვებით.

შეცდომა იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ თარგმნის დროს ორიგინალის სიტყვას შეესაბამება ერთი ან ორი მუდმივი ლექსიკური ადეკვატი. მისი ეკვივალენტი იქნება მისი თანაფარდი მთე-

<sup>1</sup> И. И л ь ф, Е. П е т р о в: „Двенадцать стульев“: Собрание сочинений, Т. I, М., 1961.

<sup>2</sup> ი. ი ლ ფ ი, ე. პ ე ტ რ о ვ ი: „თორმეტი სკამი“, თბ., „მერანი“, 1986.

<sup>3</sup> გ. წ ი ბ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

ლი სინონიმური რიგი, მაგრამ ამ რიგიდან მხოლოდ ერთი სიტყვა შეირჩევა საბოლოოდ თარგმნისას. ზოგჯერ კი ისეც შეიძლება მოხდეს, რომ სხვადასხვა მიზეზით საერთოდ ვერ დამყარდეს თანაფარდობა მათ შორის.

ამდენად, ორიგინალის რომელიმე სიტყვას ლექსიკურად და გრამატიკულად შეიძლება მეორე ენაში მოეძებნებოდეს პირდაპირი შესატყვისი, მაგრამ შესატყვისობა არ ვრცელდებოდეს მათ ყველა სტილისტიკურ ფუნქციაზე და, მაშასადამე, ისინი თარგმანში ერთმანეთს ვერ შეენაცვლებოდეს.

\* \* \*

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს საანალიზო თარგმანში?

ზოგჯერ მთარგმნელი ცდილა ორიგინალში ნახმარი ესა თუ ის სიტყვა თუ გამოთქმა თარგმანში ქართულისათვის უფრო ბუნებრივი, გამომსახველობითი ფორმებით შეეცვალა. მაგალითად:

Гроссмейстер увозит из города пятьдесят **кровных** васюкинских рублей (გვ. 327).

გროსმაისტერს... ქალაქიდან ვასიუკელების **ნაოფლარი** ოროცდაათი მანეთი მიაქვსო (გვ. 266).

Вся молодежь города **до такой степени** были влюблены в секретаршу... (გვ. 27).

ახალგაზრდები კი ისე **თავდავიწყებით** იყვნენ შეყვარებული... მდივან ქალზე... (გვ. 5).

Я **видела** покойную Мари (გვ. 30).

განსვენებული მარი **გამომეცხადა** (გვ. 7).

... а мастер Безенчук **пил горькую** (გვ. 28).

ოსტატი ბეზენჩუკი კი **არაყს ეტანებოდა** (გვ. 6).

Сегодня я **видела** дурной сон (გვ. 30).

**წუხელ** ცუდი სიზმარი ვნახე (გვ. 7).

Мужчина... **был совершенно подавлен**... (გვ. 32).

ვაჟი მთლად **ნირწამხდარი** იყო... (გვ. 9).

Мужчина... **радостно** вздохнул (გვ. 32).

ქაბუკმა **შვებით** ამოისუნთქა (გვ. 9).

Служебный день **подходил к концу** (გვ. 34).

სამუშაო დღე **იწურებოდა** (გვ. 10).

На соседней... колокольне **что есть мочи** забили в колокола (გვ. 34).

მეზობლად... სამრეკლოზე **გამეტებით** ჩამოჰკრეს ზარი (გვ. 10).

Повторяю, что практически дело **зависит** только от вашей самодеятельности (გვ. 319).

ვიმეორებ, პრაქტიკულად ყველაფერი **ვასიუკელების** თვით-მოქმედებაზე **ჰკიდია** ... (გვ. 259).

**Смотря по сезону** ... (გვ. 106).

— ეგ სეზონზე **ჰკიდია** ... (გვ. 71).

Англичане, ... с большевиками... **больше** церемониться не будут (გვ. 183).

ინგლისელები ბოლშევიკებს **დიდხანს** ადარ აბოგინებენ (გვ. 139).

**Очень удобно** для свиданий! (გვ. 161).

პაემანებისთვის სწორედ **ზედგამოჭრილია** (გვ. 119).

— Посмотрите, ... **полюбуйтесь** на вашу работу (გვ. 311).

— შეხედეთ, ... **დატკბით** თქვენი ნამუშევრით (გვ. 252)...

\* \* \*

იშვიათად მთარგმნელს ორიგინალში გამოყენებული სხარტი გამონათქვამები ფარგონის ან სასაუბრო ენაზედაც გადმოაქვს, მაგალითად:

— **Гоните** тридцать рублей (გვ. 205).

— **დაჟაჭეთ** სამი თუმანი (გვ. 158).



Ну ты, ... **Отдай концы**, не отчаливай (გვ. 83).

— ეი, შენ, ... ყველაფერი **ამოყაჭე**. ნუ იპარები (გვ. 53).

— Так я уж напишу.

— **Кройте!** (გვ. 112).

— ახლავე დავწერ.

— **მისცხე!** (გვ. 77).

Во Владикавказе **пришлось просидеть** несколько дней (გვ. 353).

ვლადიკავკაზში რამდენიმე დღე **იყურყუტეს** (გვ. 289).

— **Набил бы я тебе рыло** (გვ. 83).

— ოჰ, რა საყუთი ხარ (გვ. 53).

Сейчас **вытурят!** — шепнул Остап Ипполиту Матвеевичу (გვ. 311).

ახლა კი **ავკთესავენ** — წასჩურჩულა ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს (გვ. 252).

**Будем ... крем Марго кушать** (გვ. 120).

კრემ „მარგოთიც“ **გამოვძღებით** (გვ. 84).

Дело **было на мази** (გვ. 33).

საქმე **გაჩარხული იყო** (გვ. 9).

**Пропадайте** здесь с вашим стулом (გვ. 370).

**ჩაძაღღდით** აქ მაგ სკამიანად! (გვ. 305).

Пустая старуха была Клавдия Ивановна (გვ. 31).

კლავდია ივანოვნა მართლაც **გამოტვივებული** ბებერი იყო (გვ. 8).

Вы... ежели... помрете, что **в ящик сыграли** (გვ. 44).

თუ მოკვდით, თქვენზე იტყვიან — **ყუთში მოყურდაო** (გვ. 18)...

ხშირად ავტორის მიერ ნახმარი რუსულისათვის ბუნებრივი სიტყვათშეხამებანი ქართულში შეცვლილია ქართულისათვის დამახასიათებელი შესიტყვებებით. მაგალითები:

Сразу просунул нос в старомодное пенсне с золотой дужкой. Очков он не носил (გვ. 29).

ცხვირზე მყისვე ძველებური ოქროსრკალიანი პენსე მოირგო. სათვალეებზე იგი მწყურალად იყო (გვ. 6).

Я очень встревожена (გვ. 30).

ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ (გვ. 7).

Она зашептала и замахала руками (გვ. 36).

ქალმა ხელები გაასაგსავა და აჩურჩულდა (გვ. 12).

Дом студентов-химиков давно уже был заселен людьми, имеющими к химии довольно отдаленное отношение (გვ. 161).

საერთო საცხოვრებელშიც უკვე კარგა ხნის წინათ ისეთი ბალხი შესახლებულიყო, რომელსაც ქიმიასთან არაფერი ესაქმებოდა (გვ. 120).

— Этого не может быть! — повторил он, отойдя на квартал (გვ. 379).

— ეს შეუძლებელია! — გაიმეორა მან, როცა მთელი კვარტალი უკან მოიტოვა (გვ. 312).

Он... очутился в коридоре (გვ. 777).

იბოლიტ მატვევიჩმა... თავი დერეფანში ამოჰყო (გვ. 310).

Да сядьте вы, идиот проклятый, навязался на мою голову!... (გვ. 203).

— დაჯექი, წყეულო იდიოტო!... ამას ვის გადავეკიდე! (გვ. 156).

Ипполит Матвеевич не сделал ни малейшей попытки достать деньги (გვ. 205).

ბოლიტ მატვევიჩის ფულის ამოღება აზრადაც არ მოსვლია (გვ. 158).

Одноглазый сейчас же схватил свои уши руками и стал напряженно думать (გვ. 323).

ცალთვალამ იმწამსვე ხელები ყურებში წაივლო და ფიქრში ჩაიძირა (გვ. 262).

Переменив центр тяжести, барка не стала колебаться и в полном соответствии с законами физики перевернулась (გვ. 328).

ბარკასმა სიმძიმის ცენტრი შეიცვალა, აღარც აცივა, აღარც აცხელა და ფიზიკის კანონების შესაბამისად, აუირავდა (გვ. 267).

— Пошел вон, — ответил Остап, стиснув зубы (გვ. 203).

— აქედან დამეკარგე, — კბილებში გამოსცრა ოსტაპმა (გვ. 157)...

\* \* \*

ყველა ენაში, რა თქმა უნდა, ბევრია საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი იდიომატური თუ მყარი გამოთქმა. ამიტომ ზუსტი ეკვივალენტის ძებნაც გაჭირდებოდა, მაგრამ ყოველთვის შეიძლება კარგმა მთარგმნელმა „სრულად ან თითქმის სრულად გადაიტანოს თარგმანში დედნის მხატვრულ-ესთეტიკური თვისებები და ამით უზრუნველყოს სათანადო ეფექტი“<sup>1</sup>.

კიდევ უფრო რთულად დგას ფრაზეოლოგიის თარგმნის საკითხი. ფრაზეოლოგიური გამოთქმა ამდიდრებს ლიტერატურულ ნაწარმოებს, ტექსტს ანიჭებს ემოციურობას, განუმეორებელ კოლორიტს, მაგრამ ფრაზეოლოგიური გამოთქმების გადატანა სხვა ენაზე ძნელია, რადგან იგი ენის ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც სიტყვასიტყვით არ ითარგმნება.

ზოგჯერ განსხვავებულ ენებში არის ფრაზეოლოგიზმების

<sup>1</sup> გ. წი ბ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

დამთხვევის შემთხვევები, მაგრამ უფრო ხშირად ფრაზეოლოგიზმების უმეტესობას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აზრობრივი და ლექსიკური საფუძველი აქვს და ამის გამო მათი თარგმნა მეტად ჭირს.

ცნობილია, რომ როგორც იდიომების, ისე ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს და ამიტომ ასეთი გამოთქმების სიტყვასიტყვით თარგმნა, ცხადია, უაზრობა იქნება. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ფრაზეოლოგიზმის საერთო მნიშვნელობა და არა ცალკეული სიტყვებისა და მთარგმნელმა მკითხველს უნდა მიაწოდოს ისეთი ვარიანტი, რომელიც მას დაეხმარება ტექსტის ზუსტ გაგებასა და მხატვრული სახის აღქმაში.

„ამ შემთხვევაში თითქოს ერთადერთი გზაა ამა თუ იმ უცხოური ფრაზეოლოგიზმისათვის ქართული შესატყვისის პოვნა, მაგრამ შინაარსით ტოლფასოვანი ფრაზეოლოგიზმები ხშირად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სტილისტიკური ელფერით. ამიტომ, როცა ნათელია მოტივაცია, აუცილებელი აღარ არის ფრაზეოლოგიზმს მაინცდამაინც მოეძებნოს ქართული შესატყვისი. ასეთ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება შესაფერისი ფორმით იმავე მოტივაციის შენარჩუნება“<sup>1</sup>.

გ. წიბახაშვილი ფრაზეოლოგიზმების თარგმნის შესახებ თავის გამოკვლევაში წერს: „ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ერთ-ერთი ხერხია... კალკირება. კალკირებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კარგია, რომ ამ გზით შემოსული სიტყვები და გამოთქმები ხშირად სამუდამოდ რჩებიან ენაში და ამდიდრებენ მის ლექსიკას, ტერმინოლოგიას. მაგრამ სიტყვასიტყვით გადმოღებულმა გამოთქმამ შეიძლება შეავიწროოს ან სულაც განდევნოს ამ ენის საკუთარი გამოთქმა.

გამოთქმის კალკირება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელ ენას არ გააჩნია დედნის შესაფერისი ხატოვანი გამოთქმა და ამავე დროს კალკი არ ეწინააღმდეგება ამ ენის ნორმებს.

ოდესღაც კალკირებული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვანაირად ეგუებიან მსესხებელი ენის ნორმებს — ზოგი საფუძველიანად

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. III.

„შინაურდება“ და საკუთარის სტატუსს იღებს. ზოგი მალე იკარგება ან პასივში გადადის, ზოგი კი არქაიზმის ელფერს ვერ იცილებს და ამიტომ მისი სტილისტური შესაძლებლობაც შეზღუდულია“<sup>1</sup>.

როგორ ახერხებს ამ რთული სამუშაოს შესრულებას „თორმეტი სკამის“ მთარგმნელი? იგი ცდილა რუსულ ტექსტში გამოყენებული ესა თუ ის გამოთქმა შეძლებისდაგვარად გადმოეტანა ბუნებრივი ქართული შესატყვისებით და, ამდენად, ქართველი მკითხველისათვის ეგრძობინებინა ნაწარმოების განუმეორებელი ხიზლი. ამის მაგალითებია:

Дворник, хотя и не был близорук ... (გვ. 29).

მეზოვეს თვალი სანაქებოდ უჭრიდა (გვ. 6).

Хотя дела своего мужчина в пиджаке еще и не начинал, но уйти ему уже хотелось (გვ. 32).

ყმაწვილს თავისი საქმე ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდა, თვალი კი უკვე გაქცევაზე ეჭირა (გვ. 9).

– Пугаются, туда их в качель, под ногами (გვ. 38).

– დალახვროს ეშმაკმა, ფეხებში არ მებლანდებიან? (გვ. 13).

– Где же он может быть? (გვ. 82).

სად ეშმაკშია? (გვ. 52).

– Да идите вы к черту! Слушайте и не рышайтесь! (გვ. 203).

– ეშმაკსაც წაუღიხარ!... — ისმინეთ და თქვენს ტყავში დაეტიეთ (გვ. 156).

Имя великолепного кавалериста и кутилы не сходило с уст чопорных обитателей дворцов по Английской набережной (გვ. 122-123).

<sup>1</sup> გ. წიბახაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 69-70.

ამ ბრწყინვალე კავალრისა და მოქეიფის სახელი მუდამ პირზე ეკერა ინგლისური სანაპიროს სასახლეთა ამპარტავან მკვიდრებს (გვ. 86).

Очень часто ... появлялся фотографический портрет красавца гусара (გვ. 123).

... ხშირად ნახავდით კალმით ნახატი ჰუსარის ფოტოგრაფიულ სურათებსაც (გვ. 86).

Същики сбились с ног (გვ. 124).

მაძებრებს არაქათი გამოელიათ (გვ. 87).

Он не спал до утра (გვ. 125).

დიღამდე თვალი არ მოუხუჭავს (გვ. 88).

В комнате воцарилось тягостное молчание (გვ. 184).

ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა (გვ. 140).

— Грабеж среди бела дня! — сказал Остап (გვ. 247).

— თქვენ მე დღისით-მზისით მძარცვავთ! — თქვა ოსტაპმა (გვ. 195).

В последнее время Ипполит Матвеевич был одержим сильнейшими подозрениями (გვ. 373).

უკანასკნელ ხანს იპოლიტ მატვეევიჩი უძძიმესმა ეჭვებმაც აიტანა (გვ. 307).

Концессионеров ждала плачевная участь (გვ. 328).

კონცესიონერებს შავი დღე ელოდა (გვ. 266).

В уездном городе № было так много парикмахерских заведений и бюро похоронных процессий, что... (გვ. 27).

სამაზრო ქალაქ N-ში საბარკიმახეროებსა და დამკრძალავ ბიუროებს სათვალავი არ ჰქონდა (გვ. 5).

Казалось, жители города рождаются лишь затем, чтобы... сразу же умереть (გვ. 27).

იფიქრებდით, აქ ქალაქის მკვიდრნი მხოლოდ იმისთვის იბადებიან, რომ... მყისვე სული განუტევენო (გვ. 5).

Туды ее в качель (გვ. 35).

ემშაკმა დალახვროს! (გვ. 11).

Вид ее ясно говорил, что неудача с кроликами – дело пустое (გვ. 48).

მისი გარეგნობა აშკარად ამბობდა — კურდღლების ამბავი ჩირადაც არ ღირსო (გვ. 22)...

\* \* \*

აქვე საინტერესოა ორიგინალში გამოყენებული ანდაზებისა თუ სხვა მსგავსი გამოთქმების თარგმანებიც, როგორცაა:

"А маслом, – почему-то вертелось у него в голове, – каши не испортишь" (გვ. 106).

თავში რატომღაც ეს ანდაზა უტრიალებდა, — ქონი ფაფას არ წაახდენსო (გვ. 72).

Скоро только кошки родятся (გვ. 122).

აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო (გვ. 85).

Дело помощи утопающим – дело рук самих утопающих (გვ. 321).

„წყალწადებულო, თუ თავის გადარჩენა გინდა, ხელი გაანძრიე“ (გვ. 261)...

\* \* \*

როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, „განსაკუთრებით ჭირს ქართულ თარგმანში სკაბრეზული ლექსიკის გადმოტანა. ქართულ ლიტერატურაში ისე დამკვიდრებული არ არის სკაბრეზი, რომ თარგმანში უხერხული არ იყოს მისი პირდაპირი, შეულამაზებელი შესატყვისის ჩართვა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე: თარგმანის ახალი თეორიები..., გვ. 183.

ყოველივე ზემოთქმული ასე თუ ისე შეეხებოდა ორიგინალსა და თარგმანს შორის არსებულ განსხვავებულ ლექსიკურ შესატყვისობებს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს თარგმნისას ენათა სხვადასხვა სისტემის, მათი აღნაგობისა თუ გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინებასაც.

რუსულსა და ქართულ ენებს შორის არსებობს ამ რიგის არაერთი სხვაობა. სახელდობრ: რუსულისაგან განსხვავებით, ქართული ზმნა მრავალპირიანია, მას ახასიათებს ქცევის, კონტაქტის თუ სხვა კატეგორიები. რუსულს არ გააჩნია ქართულში არსებული მომავალი დროის მიმღეობა, ხოლო ე. წ. თურმეობითისათვის — სპეციალური ფორმები. სრულიად განსხვავდება რუსულსა და ქართულში კავშირებითი კილოს წარმოება. ქართულში გარჩეულია ვინ? და რა? კითხვითი ნაცვალსახელები და მყავს და მაქვს ზმნები განსხვავებულ საგნებთან ხმარებისას. განსხვავებულია აგრეთვე არა, ვერა და ნუ უარყოფითი ნაცვალსახელების გამოყენება და სხვა, მაგრამ სამაგიეროდ, ქართულში არ არის რუსულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული სქესის კატეგორია, არ არის ინფინიტივი, ე. წ. დეეპრიჩასტიე და სხვა.

ყველაფერი ეს თარგმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისევე, როგორც ამ ენათა შორის არსებული განსხვავებული სინტაქსური მოვლენები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ნათარგმნ ტექსტში სტილისტიკურ შეუსაბამობებთან და თარგმანი ვერ იქნება სათანადო სიმაღლისა.

ი. ილფისა და ე. პეტროვის „თორმეტი სკამის“ დასახელებულ ქართულ თარგმანში აღნიშნული საკითხები ასე თუ ისე მოგვარებულია. მთარგმნელს შეძლებისდაგვარად უცდია გაეთვალისწინებინა ქართული ენის ბუნება, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ყველაფერი ეს წარმოეჩინა თარგმნისას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ამ რიგის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას.

ქართული ზმნის პირიანი ფორმაა ნახმარი მაშინ, როდესაც ხშირ შემთხვევაში რუსულში პირის ნაცვალსახელის გამოყენებაა საჭირო, მაგალითად:



Я купил этот гобелен у петербургского антикара (გვ. 120).  
ეს გობელენი პეტერბურგში, ანტიკართან ვიყიდე (გვ. 83).

Деньги получил вполне своевременно, за что тебя сердечно благодарю (გვ. 260).

ფული სწორედ დროზე მივიღე, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავ (გვ. 206).

– Вам кажется? что вам еще кажется? (გვ. 120).

– თქვენ ასე გგონიათ? მეტი არაფერი გგონიათ? (გვ. 84).

– Фу, как ты меня испугал! (გვ. 285).

– ფუი, როგორ შემაშინე! (გვ. 228).

– Вы пугаете меня, гражданин матрац (გვ. 169).

– ნუ მაშინებთ, მოქალაქე ლეიბო! (გვ. 127).

– Я убую тебя, матрац! (გვ. 169).

– ლეიბო, მოგკლავ! (გვ. 127).

– Оставь меня в покое (გვ. 167).

– თავი დამანებე (გვ. 125).

– Продайте мне этот стул. Он мне очень нравится (გვ. 221).

– მომეიღეთ ეს სკამი. ძალიან მომწონს (გვ. 172)...

\* \* \*

ზწირია ქართულისათვის დამახასიათებელი ე-ნიანი და ე. წ. გუნების ვნებითის ფორმები, რომელთა გადმოცემა რუსულში მხოლოდ ზმნით არ ხერხდება. ასეთებია:

Но и это показалось ему мало (გვ. 124).

მაგრამ ესეც ეცოტავა (გვ. 87).

С такой высоты ему легко и удобно было относиться к теще с некоторым пренебрежением (გვ. 30).

ამ სიმაღლიდან მას ფრიად ეადვილებოდა სიდედრს ერთგვარი ზიზღითა და გულგრილობით მოპყრობოდა (გვ. 7).

Он лежал в гробу и радовался познанию жизни (გვ. 125).

ევბლა კუბოში იწვა და სიცოცხლის აზრს ესიყვარულებოდა (გვ. 88).

На вдову лился желтый свет (გვ. 268).

ქვრივს თავზე ეღვრებოდა... ყვითელი სინათლე (გვ. 213-214).

Все цыплята, яйца и маслины были съедены ... Все дорожные анекдоты были уже рассказаны (გვ. 158).

წიწილები, კვერცხები და ზეთისხილი შემოეჭამათ... სამგზავრო ანეკდოტები უკვე შემოელიათ (გვ. 117)...

\* \* \*

ქართულში გამოყენებულია ქცევებიანი ფორმებიც, რისი საშუალებაც, როგორც ითქვა, რუსულს არა აქვს. მაგალითები:

Вышли двадцать сюда телеграфом, из Батума все тебе протелеграфирую (გვ. 397).

აქ დებეშით ოცი გამომიგზავნე, მე კი ბათუმიდან ყველაფერს გიდებეშებ (გვ. 248).

Нам от вас потребуется следующее: исполнение художественных плакатов, подписей и окончание транспаранта (გვ. 295-296).

აი, ჩვენ თქვენგან რას მოვითხოვთ: მხატვრული პლაკატები და წარწერები უნდა გაგვიკეთოთ და ტრანსპარანტი უნდა დაგვიმთავროთ (გვ. 238).

После этого граф не только вернул свои деньги, но даже выиграл еще тысяч триста (გვ. 71).

... თავისი ფულიც დაიბრუნა და კიდევ სამასი ათასი მოიგო (გვ. 42).

Тогда ... требуйте, чтобы нам экстренно командировали художника (გვ. 295).

მოითხოვეთ, სასწრაფოდ სხვა მხატვარი გამოგიზავნეთ-ოქო (გვ. 237).

Он ... засунул колбасу в карман полосатых брюк (გვ. 50).

მღვდელმა... ძეხვი ზოლებიანი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა (გვ. 24).

Она же Мура, ... громко делилась своими восторгами с виртуозом-балалаечником (გვ. 297).

იგივე მურა, ...თავის აღტაცებას ხმამაღლა ვირტუოზ-მებალალაიკეს უზიარებდა (გვ. 239).

Она ему передачу носит (გვ. 62).

დამდგარა და საჭმელებს უზიდავს (გვ. 34).

Видит – дело плохо: обеда нет (გვ. 62).

ხედავს — საქმე ცუდადაა, სადილს არავინ უმზადებს (გვ. 34).

Наступил идеальный час для киносъемки (გვ. 303).

კინოგადაღებას იდეალური ეპი დაუდგა (გვ. 245).

Блестящая слеза... скользнула по лицу (გვ. 37).

კრიალა ცრემლი... ჩამოუცურდა ლოყაზე (გვ. 13)...

\* \* \*

მეორე მხრივ, რუსულში, ხშირადაა გამოყენებული როგორც სრული, ისე მოკლე ე. წ. მიმდებარე კონსტრუქციები, რომლებიც ქართულში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა: ზმნის პირიანი ფორმით, რთული წინადადებით თუ სხვა საშუალებით. მაგალითად:

И вот подвижник молчавший двадцать пять лет, заговорил (გვ. 125).

და წამებული, ოცდახუთ წელიწადს რომ დუმდა, ანაზ-  
დად ალაპარაკდა (გვ. 88).

Ипполит Матвеевич и Остап, ... внимательно смотрели на  
коров, медленно **сходивших** с насыпи (გვ. 158).

იპოლიტ მატვეევიჩი და ოსტაპი... ყურადღებით მისჩერე-  
ბოდნენ ძროხებს, მიწაყრილზე რომ ჩამოდოდნენ (გვ. 177).

Я **измучен** желанием поскорее увидеться с ... гражданином  
Грицацуевым (გვ. 120).

მე ერთმა სურვილმა გამტანჯა:... მოქალაქე გრიცაცუევის  
ნახვა მინდა (გვ. 84)...

\* \* \*

ქართულში რუსულისთვის მეტად დამახასიათებელი ე. წ.  
დეებრიზმსტეი არ არის, მაგრამ არსებობს მისი გადმოცემის რამ-  
დენიმე ხერხი: ზმნის პირიანი ფორმით, პირიანი ფორმითა და  
სხვადასხვა სახის კავშირით, რთული წინადადებითა და სხვა. მა-  
გალითები ჩვენი მასალიდან:

**Смахнув** со своих седин оставшиеся после умывания  
росинки... (გვ. 30).

პირი დაიბანა, ქალარიდან წყლის წვეთები ჩამოიბერტყა  
(გვ. 7).

**Вынув** из ящика стола синюю войлочную подушечку,  
Ипполит Матвеевич положил ее на стул (გვ. 32).

იპოლიტ მატვეევიჩმა მაგიდის უჯრიდან თექის ლურჯი ბა-  
ლიში ამოიღო და სკამზე დადო (გვ. 8).

**Раскрыв** скоросшиватель №2 и дернув щечкой, углубился  
в бумаги (გვ. 32).

გახსნა საქმე №2, დაწვები შეატოკა და ქალაღებში ჩა-  
რგო თავი (გვ. 9).

**Приняв** от молодоженов два рубля и **выдав** квитанцию, Ипполит Матвеевич сказал, усмехнувшись... (გვ. 33).

ახალგაზრდებს ორი მანეთი **გამოართვა**, ქვითარი **მისცა** და ღიმილით ჩაილაპარაკა... (გვ. 9).

И **повторяя** явно чужие слова, ... **добавила** (გვ. 36).

და ქალმა ვიღაცისაგან **გაგონილი** სიტყვები **გაიმეორა** (გვ. 12).

Победоносно **поглядывая** друг на друга, следовали дальше (გვ. 118).

ერთმანეთს ქედმაღლურად **გადახედეს** და გზა განაგრძეს (გვ. 81-82).

**Рассказав** Ипполиту Матвеевичу эту... историю, Остап... удалился (გვ. 127).

ოსტაპმა ეს... ისტორია **უამბო** იპოლიტ მატვეევჩის... და წავიდა (გვ. 90).

Мадам Грицацуева, **сидя** на лестнице... ждала утра (გვ. 268).

მადამ გრიცაცუევა... კიბეზე... **იჯდა**... და გათენებას უცდიდა (გვ. 213).

Они молча устремились вслед за Воробьяниновым, **беспрерывно снимая** на ходу картузы и вежливо **кланяясь** (გვ. 35).

ისინი ხმაამოუღებლად დაედევნენ ვორობიანინოვს, ყოველ ნაბიჯზე კარტუზებს **იხდიდნენ** და თავაზიანად წელში **იხრებოდნენ** (გვ. 12).

**Розгромив** войска итальянского короля, граф вернулся в Петербург (გვ. 123).

იტალიის მეფის ჯარები **რომ** **გაანადგურა**, გრაფი... პეტერბურგში დაბრუნდა (გვ. 87).

Однако **стыдясь** и **пряча** бутылочку, он принес керосин (გვ. 126).

ნავთი მაინც მოუტანა, თუმცა ძალიან რცხვენოდა და ბოთლი კალთაში ჰქონდა დამალული (გვ. 89).

Проходя мимо двери отца Федора, мстительный сын турецкого подданного пнул ее ногой (გვ. 121).

როცა მამა თევდორეს კარს ჩაუარეს, თურქეთის ქვეშევრდომის შურისმგებელმა შვილმა მას წიხლი უთავაზა (გვ. 84)...

\* \* \*

ენათა შორის სხვაობა იჩენს თავს სინტაქსის სფეროშიც. მაგალითად, რუსულში ჩვეულებრივ ხმარებული უზმნო წინადადებები ქართულისათვის სრულიად უჩვეულოა. ქართულში წინადადება ზმნის გარეშე არ არსებობს, ამის ნიმუშია:

Московские вокзалы – ворота города (გვ. 159).

მოსკოვის სადგურები — ქალაქის ჭიშკრებია (გვ. 118).

განსხვავებულია რუსულსა და ქართულში ზოგი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი. ამასთან, საერთოდ სიტყვათა რიგს რუსულში ზოგჯერ არა მხოლოდ სტილისტიკური, არამედ გრამატიკული მნიშვნელობაც აქვს. რუსულში მსაზღვრელად გამოყენებულ ყოველგვარ რიცხვით სახელთან საზღვრული მრავლობითშია, ქართულში კი — მხოლოდობითში და სხვა, მაგრამ ასეთ მოვლენებზე ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით.

\* \* \*

არის სხვა განსხვავებებიც. მაგალითად, ქართულ თარგმანში არცთუ იშვიათად სტილისტიკური მიზნით სხვათა სიტყვის ოხმოვანია გამოყენებული. ასეთია:

Тогда он понял, что ошибся (გვ. 126).

მაშინ განდგელი მიხვდა, შევცდიო (გვ. 89).

Он попросил принести ему немножко керосину (გვ. 126).

მან გლეხკაცს სთხოვა, ცოტა ნავთი მომიტანეო (გვ. 88).

Говорили, что граф-монах носит вериги в несколько пудов, что он ... питается теперь только картофельной шелухой...

Говорили, что графу было видение умершей матери... Говорили, что это временное помешательство на религиозной почве. Утверждали, что граф бежал от долгов. Передавали, что виною всему – несчастный роман (გვ. 124).

ამბობდნენ, გრაფი მრავალფუთიან ბორკილებს ატარებ-  
სო... კარტოფილის ნაფცქვენებით იკვებებო... ამბობდნენ,  
გრაფს მიცვალებული დედა გამოეცხადაო ...ფიქრობდნენ, გრაფი  
უკანვე დაბრუნდებო. ამბობდნენ, ეს დროებითი შეშლილობაა  
რელიგიურ ნიადაგზეო. სხვები ამტკიცებდნენ, გრაფი ვალებს  
გაექცაო. მესამენი კი ფიქრობდნენ, ყველაფრის მიზეზი უბედური  
რომანიაო (გვ. 87)...

\* \* \*

ხშირად მთარგმნელი სიტყვასიტყვით არ მისდევს ირიგინა-  
ლის ტექსტს და ცდილობს ქართულისათვის ბუნებრივი ფრაზე-  
ბითა და სიტყვათა წყობით გადმოსცეს რომანში წარმოდგენილი  
წინადადებები. ასეთებია მაგალითად:

По утрам выпив из морозного, с жилкой, стакана свою  
порцию горячего молока, поданного Клавдией Ивановной... (გვ. 27).

დილით იპოლიტ მატვეევჩის კლავდია ივანოვნა შრეებიანი  
ჭიქით ცხელ რძეს მთარგმნევედა ხოლმე (გვ. 5).

– Если они нас догонят, не смогу поручиться за целость  
вашего пенсне (გვ. 327).

– თუ დაგვეწიენ, შეიძლება თქვენმა პენსნემ სახმარი ღი-  
რებულება დაკარგოს (გვ. 266).

Однажды пытался заложить в ломбарде свой лучший,  
выставочный гроб (გვ. 28).

ერთხელ ლომბარდში დასაგირავებლად თავისი საუკეთესო,  
ვიტრინის კუბოც კი მიათრია (გვ. 6).

Это была приятнейшая из улиц, какие встречаются в  
уездных городах (გვ. 27).

ასეთ სასიამოვნო ქუჩას სხვა სამაზრო ქალაქებში ვერსად ნახავდით (გვ. 5).

Остальная часть заседания была смята и носила менее торжественный характер (გვ. 150).

ამის შერე თათბირმა საზეიმო იერი დაკარგა და ჩაიფერულა (გვ. 111).

Ехать здесь в Москву недолго (გვ. 160).

მოსკოვამდე ამათ მოკლე გზა აქვთ (გვ. 119).

В случае удачи – почет! Не вышло – мое дело шестнадцатое. Помогал детьми – и дело с концом (გვ. 149).

თუ გამოვიდა — პატვისცემა შერგება, არა და — მე არაფერი არ ვიცი. ბავშვებს ვეხმარებოდი, მორჩა და გათავდა (გვ. 110).

Когда женщина стареет, с ней могут произойти многие неприятности (გვ. 142).

სიბერეში შესული ქალი ბევრი უსიამოვნების მსხვერპლი ხდება (გვ. 103).

Ипполит Матвеевич с ловкостью фокусника принялся за работу (გვ. 33).

იპოლიტ მატვევიჩი გამბაზის სიმარჯვით ამოქმედდა (გვ. 9).

Это мешало ей собирать членские взносы (გვ. 27).

იგი საწევრო ანარიცხების შეგროვებასაც ვეღარ ახერხებდა (გვ. 5).

Через час они вернулись и застали стариков совершенно разомлевшими (გვ. 143).

ერთი საათის შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ და დაინახეს, რომ ბებრები სულს ძლივს იბრუნებდნენ (გვ. 104)...



ბოლოს, გვინდა შევეხოთ სახელ-მამისსახელობითი ფორმების გადმოცემის მოდელს თარგმნისას. ამ მხრივ ერთგვარი აზრი არ არსებობს; მთარგმნელთა უმეტესი ნაწილი მხატვრულ თარგმანში რუსულისებურად, რუსული ელფერით გადმოღებას უჭერს მხარს (ივან პავლოვიჩი, ანა პეტროვნა...), ნაწილი კი ასეთი ფორმების გადმოქართულების მომხრეა (ივანე პავლეს ძე, ანა პეტრეს ასული...). „თორმეტი სკამის“ მთარგმნელს სწორედ პირველი მოდელი აურჩევია და თავის თარგმანში რუსული სახელ-მამისსახელობითი ფორმები რუსულისებურად წარმოუდგენია.<sup>1</sup> მაგალითები:

**იპოლიტ მატვევიჩის** თმა აებურძგნა (გვ. 7).

**კლავდია ივანოვნა** სულელი იყო (გვ. 7).

თათბირში **ვიქტორ მინაილოვიჩმა**ც აქტიური მონაწილეობა მიიღო (გვ. 106).

**მე მაქსიმ პეტროვიჩთან...** წავალ (გვ. 106).

**ელენა სტანისლავოვნა** დანადვლიანდა (გვ. 109).

ეს — **ივან ივანოვიჩ** სიღოროვია, ან **სიღორ სიღოროვიჩ** ივანოვი (გვ. 116)...

ამგვარად, როგორც თარგმნის თეორიული საფუძვლების, ისე კონკრეტული თარგმანის განხილვის შემდეგ, ნათელი ხდება, თუ რა რთული სამუშაოს შესრულება უხდება მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელს და რა პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს იგი ნაკისრ ვალდებულებას.

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ც. კ ა ლ ა ძ ე: „სახელ-მამისსახელობით მიმართვის შესახებ ქართულში“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI, 1984 წ. გვ. 313-317.